

**იურიდიული დახმარების
კლინიკა**

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტში შეიქმნა იურიდიული დახმარების კლინიკა, რომლის მიზანია სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის იურიდიული მომსახურება.

**კლინიკაში იურიდიული მომსახურება
უფასოა და მოიცავს:**

- იურიდიულ კონსულტაციას;
- სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებას;
- განსაკუთრებულ შემთხვევებში წარმომადგენლობას ადმინისტრაციულ ორგანოებში და სასამართლოში.

კლინიკის საქმიანობის ფორმები

- სატელეფონო კონსულტაცია;
- პირადი კონსულტაცია;
- გასვლითი იურიდიული კონსულტაცია (რეგიონებში);
- ონლაინ კონსულტაცია.

თბილისი 0171

26 მაისის მოედანი 2, V სართული

ტელ: (995 32) 94 16 05

ფაქს: (995 32) 33 04 17

ელ-ფოსტა: legalclinic@civilin.org

ვებ-გვერდი: www.civilin.org/welfare

ყოველთვიურ ელექტრონულ
გამოცემას ამზადებს

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი

ვებ-გვერდი: www.civilin.org



**კონკურსი
სოციალურ საკითხებზე მომუშავე
ჟურნალისტებისათვის**

„ვზრუნოთ ერთმანეთზე“ – 2009

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი უკვე მესამედ აცხადებს სოციალურ საკითხებზე მომუშავე ჟურნალისტებისათვის კონკურსს, რომელიც სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების გარემოს გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში ჩატარდება.

კონკურსის მიზანი:

ხელი შეუწყოს სოციალურ საკითხების უფრო ფართოდ და ღრმად გაშუქებას.

(გაგრძელება მე-2 გვ.)

კონკურსი – „ვიზრუნოთ ერთმანეთზე“ – 2009

(გაგრძელება)

კონკურსის ნომინაციები:

კონკურსი ტარდება 4 ნომინაციაში

1. საუკეთესო საგაზეთო სტატის;
 2. საუკეთესო სატელევიზიო სიუჟეტი;
 3. საუკეთესო ფოტო ნამუშევარი;
 4. საუკეთესო რადიო სიუჟეტი. თითოეულ ნომინაციაში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული. გადაცემა გამარჯვებულის დიპლომი და ფულადი ჯილდო – 1000 ლარის ოდენობით.
- ჟიურის გადაწყვეტილებით გაიცემა მეორე და წამახალისებელი პრემიები.
- გამარჯვებულებს გამოავლენს კომპიუტერული ჟიური – ვაჟა სალამაძე, ზვიად ქორიძე, დავით პაიჭაძე, ლიკა

ჩახუნაშვილი, მაია მიქაშავიძე, გურამ წიბახაშვილი. კონკურსის შედეგები გამოცხადდება დაჯილდოვების ცერემონიაზე.

კონკურსის პირობები:

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია სოციალურ საკითხებზე მომუშავე ჟურნალისტებს. საკონკურსო ნამუშევრების მიღება დაიწყება 1 ნოემბრიდან და გაგრძელდება 15 დეკემბრამდე.

მასალები წარმოდენილი უნდა იყოს შემდეგი სახით:

სატელევიზიო სიუჟეტი - CD-ზე ან DVD-ზე; რადიო სიუჟეტი - CD-ზე ან DVD-ზე;

სტატია – გაზეთი ან ჟურნალი, რომელშიც დაიბეჭდა სტატია (არაუმეტეს 3 სტატიისა) ან ნაბეჭდი ტექსტი გამოცემის და თარიღის ზუსტი მითითებით;



ფოტო - CD-ზე (jpg ფორმატში) ან დაბეჭდილი A 4 ფორმატით; მასალის ჩაბარებისას მონაწილემ უნდა შეავსოს სპეციალური ანკეტა;

საკონკურსოდ წარმოდგენილი მასალა გამოქვეყნებული ან ეთერში გასული უნდა იყოს 2009 წლის განმავლობაში.

კონკურსის მონაწილეებმა საკონკურსო მასალა უნდა წარმოადგინონ სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის ოფისში, მისამართზე: ქ. თბილისი, 26 მაისის მოედანი V სართული, ტელ. 941 605, 330 417, mail: temuri@civilin.org www.civilin.org/welfare

წინა კონკურსების გამარჯვებულები

2008 წელი

საუკეთესო საგაზეთო სტატია – „ნარკომანია განაჩენი არ არის“, ავტორი: მაკა ჯაიანი;

საუკეთესო სატელევიზიო სიუჟეტი – „უსინათლოთა დასაქმება“, ავტორი: თემურ ბარძიმაშვილი;

საუკეთესო ფოტო – „პორტრეტი“, ავტორი: მარიკა ამურველაშვილი;

საუკეთესო რადიოსიუჟეტი (პირველი, მეორე პრემია გაერთიანდა) – „დამხმარეთ“ ავტორი: გოგა აფციაური, „მიუსაფარი ბავშვები“, ავტორი: ევა ჭითანავა, „მიგრაცია“, ავტორი: ჯიმშერ რეხვიანიშვილი.

საგაზეთო მეორე წამახალისებელი პრემია – „მესხეთის კარიბჭის“ და „მესხეთის ექსპრესის“ ჟურნალისტებს: ქეთევან მიშველიძეს, ცაულინა მალაზონიას, სატელევიზიო მეორე წამახალისებელი პრემია – „როგორ გავატარე ზაფხული“, ავტორი: ნინო შურდაია, ფოტო მეორე წამახალისებელი პრემია – „გმირთა მოედანი“, გია გოგატიშვილი.

კონკურსის პარტნიორმა სადაზღვევო კომპანია აი-სი ჯგუფმა სპეციალური პრიზები გადასცა აფციაურს მოვლენების გაშუქებისთვის ჟურნალისტებს – ნინო დალაქიშვილს, ნინო შურდაიას, ევა ქევანიშვილს, თემურ ბარძიმაშვილს.

2007 წელი

საუკეთესო საგაზეთო სტატია – „გზაჯვარედინის გენერლები“, ავტორი: სოფო თოდუა;

საუკეთესო სატელევიზიო სიუჟეტი – „მარტო მოვდივარ“, ავტორი: ოზურგეთის პედაგოგთა კავშირთან არსებული ლიდერთა სკოლის მოსწავლეები;

საუკეთესო ფოტო – „ბალერინა“, ავტორი: ნათელა გრიგალაშვილი.

2007 წელს არ გამოვლენილა საუკეთესო რადიოსიუჟეტი, გამარჯვებულისთვის განკუთვნილი ჯილდო წამახალისებელი ჯილდოს სახით გადაეცა ჟურნალისტს ელზა წიკლაურს და ფოტოხელოვანს ირინა აბჯანდაძეს.



პორტრეტი (2008 წლის გამარჯვებული) ავტორი: მარიკა ამურველაშვილი



გმირთა მოედანი (მეორე პრიზის მფლობელი) ავტორი: გია გოგატიშვილი



აი-სი ჯგუფის პრიზის მფლობელი ავტორი: თემურ ბარძიმაშვილი

ინკლუზიური სწავლება საბავშვო ბაღებში

სპეციალური საჭიროების მქონე 30-მდე პატარა თბილისის სხვადასხვა რაიონში მდებარე 12 საბავშვო ბაღში დადის. თორმეტივე ბაღში ინკლუზიური სწავლების პროგრამა წელს დაიწყო. ამ საკითხის ირგვლივ რამდენიმე ორგანიზაციის – გაეროს ბავშვთა ფონდის, პორტიჯის ასოციაციის, საოჯახო ბიოეთიკის ასოციაციისა და თბილისის მერიის ინტერესი ერთმანეთს დაემთხვა და მათ შორის პროექტის დაწყების თაობაზე მემორანდუმი გაფორმდა. პროექტს მერია აფინანსებს. პროექტისთვის ბაღების ნაწილი რაიონული პრინციპით შეირჩა. ბაღის დირექტორთა ასოციაციის წევრებმა ინტერესი გამოხატეს პროექტში ჩართვაზე და ბაღების ნაწილი მათგან შეირჩა. წინასწარ შერჩეულ საბავშვო ბაღებში, როგორც უკვე, აღვნიშნეთ სკოლამდელი სხვადასხვა ასაკის 30-მდე სპეციალური საჭიროების, ამ ეტაპისთვის გონებრივი შეზღუდვის მქონე პატარა, სხვა პატარებთან ერთად იღებს სკოლამდელ განათლებას. პროცესის პარალილოურად დაიწყო

სკოლამდელი დაწესებულებების აღმზრდელთა გადამზადება – ინკლუზიური განათლების, ბავშვების ჯგუფში ჩართვის მექანიზმების, ინდივიდუალური გეგმების შედგენის, ზოგადად ბაღებში მენეჯმენტის გაუმჯობესების და ა.შ. შესახებ. აღნიშნულ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ნაწილში ჩატარდა ფიზიკური გარემოს ადაპტაცია, უახლოეს მომავალში გარემო იმდენად იქნება ადაპტირებული, რომ ბაღებში სიარული თანატოლებთან ერთად ფიზიკური შეზღუდვების მქონე ბავშვებისთვისაც იქნება შესაძლებელი მომავალი წლიდან. პროექტის ავტორები მთელი წლის განმავლობაში დააკვირდებიან ინკლუზიური სწავლების პროცესს, მონიტორინგის შედეგები მნიშვნელოვანი იქნება როგორც სწავლებისას შესაძლო ხარვეზების აღმოსაფხვრელად, ასევე პროექტის გაფართოებისთვის – ინიციატორები გეგმავენ პროექტის შემდეგ ეტაპზე იმავე დაწესებულებების სხვა მასწავლებლებმაც გაიარონ ტრენინგების კურსი.

ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენცია

ბავშვთა უფლებების დაცვის საერთაშორისო კონვენცია 20 წლის წინათ შეიმუშავდა – 1989 წელს მსოფლიო ლიდერებმა გადაწყვიტეს, რომ სპეციალურად ბავშვთა უფლებების დასაცავად კონვენცია შექმნილიყო, რომელიც შემდგომ ერთ-ერთ ყველაზე აღიარებულ დოკუმენტად იქცა. კონვენცია მსოფლიოს 193 ქვეყნის მიერ არის რატიფიცირებული. საქართველო კონვენციას 1994 წელს შეუერთდა. ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, საქართველოშიც აღნიშნეს ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენციის დღე. ორგანიზატორი იყო საქართველოს სოს ბავშვთა სოფელი, რომლის ინიციატივით გაიმართა თეატრალიზებული წარმოდგენა, რომელიც ასახავდა ბავშვების ძალადობისგან დაცვა.



თქვენ ყოველთვის უნდა ეცნობით სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიერ, სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების გარემოს გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში, მომზადებულ ელექტრონულ საინფორმაციო ბიულეტენს. ბიულეტენი თქვენთვის იქმნება და თქვენს სამსახურშია, მოგვწერეთ თქვენი წინადადებები. ელ-ფოსტა: welfare@civilin.org

ბიულეტენის ერთ-ერთი მთავარი თემა თქვენი საქმიანობა და ღონისძიებებია. მოგვწერეთ, მოგვაწოდეთ ინფორმაცია ღონისძიებების შესახებ, ჩვენ კი გთავაზობთ: ღონისძიების ანონსის გავრცელებას ელექტრონული ფოსტით, ღონისძიების გაშუქებას საინფორმაციო ელექტრონული ბიულეტენის საშუალებით. მოგვაწოდეთ ინფორმაცია თქვენი გამოცემების შესახებ და ჩვენ განვათავსებთ მათ პროექტის ვებ-გვერდზე: <http://www.civilin.org/welfare>

მოგვაწოდეთ ინფორმაცია იმ პროდუქციის შესახებ, რომელსაც აწარმოებთ სოციალურ სფეროზე ორიენტირებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან არსებულ სახელოსნოებში, მათ განვათავსებთ პროექტის ვებ-გვერდზე: <http://www.civilin.org/welfare>

ნუ გაუშვებთ შესაძლებლობას გაეცნოთ და გაგიცნონ